წელიწადი პირველი—№ 136

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

სამშაბათს, 26 ივნისს, სოფელ აკეთში მაცხოვრის ეკლესიაზე გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

**ივდითი გურიელის ქალის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს მახლობელთა და დანათესვთა შვილი განსვენებულისა **ნიკო თავდგირიძე.** (1—კვ—1)

---

კვირას, 24 თიბათვეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ნიკოლოზ პეტრეს ძე თოფურიას**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის შვილი ვასილ ნიკოლოზის ძე თოფურია მეუღლითურთ. (1—175—1)

---

**მხოლოდ 1 ივლისამდე**

**ე. ი. 25, 26, 27, 28, 29 და 30 ივნისს**

უმთავრესი მაღაზია

**პ. ს. დოროქნოვისა**

ზემოხსენებულ ექვსი დღის განმავლობაში გაიყიდება მალიან იაფად

**მთელი სეზონის საქონელი**

ოთხ სპეციალურ განყოფილებაში

**მამაკაცის საქონელი**

**ქალის ქსოვილები**

**საზაფხულო ფერადი ქსოვილები**

შეკერილი საცვალი, ჩულქები, წინდები და სხ.

(1—175—1)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ვანიზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

ექიმი
**ე. მამაცაშვილი**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—76)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

---

**ქუთაისში**
ექიმი მაცრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—32)

---

ლამბაშიძის

**სანატორიუმი**

პატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—22)

---

**ახალი წიგნი**
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია
**„ამბოხება კახეთისა"**
**1812 წ.**
ა. ფრონელისა.
ფასი ერთი მანეთი
იქვე იყიდება „**მთიულეთი 1804 წ.**" იმავე ავტორისა. (20—უ.—16)

---

**ნაჭრებად და ოფილი**

**მშვენიერი ბაღი**

საბურთალოზე,
თ-დ ხიმშიაშვილისა და მაკაროვის მამულების შუა, 15 წუთის სავალია ქალაქიდან, იყიდება ნაჭრობლივ. ფასი 1 მან. 2 მანეთამდე თითო ოთხკ. საჟ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. იკითხეთ ვერაზე, წყნეთის ქუჩა, № 2, სანდრო მინდიაშვილთან. (3—172—2)

---

**ქუთაისში**
**ექიმი ს. ი. ხეჩინოვი**
აუწყებს საზოგადოებას, რომ მან შესწყვიტა ავადმყოფების მიღება მარიამობისთვის დამლევამდე. (3—კვ.—1)

---

**კვირას, 24 ივნისს, საღამოს 7 საათზე**
ტფილისის საკრებულოში
(გოლოვინის პროსპ.)
პეტერბურგის უნივერსიტ. პრივატ-დოცენტი
**ივ. ა. ჯავახიშვილი**
განაგრძობს ქართულ ლიტერატურის კითხვას:
**"კულტურის ისტორია საქართველოსი უძველეს დროიდან მოყოლებული XIII ე საუკუნემდე".**
ბილეთები იყიდება თვით საკრებულოში საღამოს 5 საათიდან. ფასი ბილეთებისა 20 კ.—1 მ. 10 კ.-მდე. (2—5.—2)

---

**სამკურნალო**
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
**მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.**
**მაზური ავადმყოფები**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ლაპიდუსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ა. გ. ბეგლარიანი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. კიმიანცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**პ. ა. ზეიგერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—82)

---

**სამკურნალო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკო**—შინ. სნეულ. დროებით წავიდა ქალაქიდან.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ანპილოვი**—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.
**ფალამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ინაევი.** ქალისა, დროებით წავიდა.
**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ბოლოტოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**პივარსკი**
**ჩუდნოვსკი** } კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—1)

---

**ცირკი ძმ. ნიკიტინისა**
**ქართული წარმოდგენა**
კვირას, 24 ივნისს, ქართულ-დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:
**ყაჩაღი არსენა**
დრამ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ნებიერიძე, გალუსტოვისა; ბ. ბ. ვ. სვიმონიძე, გამყრელიძე, ივანიძე, გოცირიძე, ქევიძე, მატარაძე, იმედაშვილი, სალუქვაძე, ბაქრაძე და სხვა.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
ადგილების ფასი ერთ მანეთიდან 15 კაპ.
გამგე **გიგო.** რეჟისორი **ზ. სვიმონიძე.**
(1—უ.—2)

---



**ბევრისამუშაო**

მშრომელ ქალებსა და ვაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერკავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—46)

---

ქ. ტფილისში, 24 ივნისიდან გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი

**„ახალი ქვეყანა"**

გაზეთის მიზანია ემსახუროს პროფესიონალურ მოძრაობას. გაზეთი გამოვა კვირაობით, ცალკე ნომერი ეღირება ერთ შაურად.

ხელის მოწერა მეორე ნომრიდან. დროებითი ადრესი: სიმონოვის ქუჩა № 4, სტამბა „ნადეჟდა".

---

**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**

**ფერხული**

ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**

გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის" გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.** (10—უ—3)

---

კვირას, 24 ამ თვეს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე

გაიმართება

**სალიტერატურო დილა**

**სპარსეთის ქართველების შესახებ.**

1. **დავ. კარიჭაშვილი**: ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს.
2. **იაკ. ცინცაძე:** ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთში იქაურ ქართულ სოფლებში.
3. **ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი**: სპარსეთის ქართველების ყოფა-ცხოვრება.

ფასი 1 მან. 50 კაპ.-დან 20 კაპეიკამდის. (3—უ.—3)

---

## ტფილისი, 24 ივნისი

ჩვენ აღვნიშნეთ უკვე ერთხელ, რომ იმ მოტივთა შორის, რომე-თა ძალით განაპირა ქვეყნებს საარჩევნო უფლება შეუმცირეს, მთავარი ადგილი ეჭირა შემდეგ მოსაზრებას: არა-რუსთა წარმომადგენლების ჯგუფებმა ისეთი ადგილი დაიკავეს სათათბიროში, რომ მათს ამა თუ იმ ვოტუმს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდაო; არა-რუსთა სურვილისაგან იყო დამოკიდებული, რა მიმართულებას მიიღებდა რუსთა ესა თუ ის საქმეო.

პირველად ყოვლისა ამ მოტივში გასაოცარია ეს „რუსთა საქმე", რომელსაც ოფიციალური დოკუმენტიც ისე ამბობს, როგორც „ჭეშმარიტ რუსთა" რომელიმე გაზეთი. სახელმწიფო სათათბირო, როგორც მთელის რუსეთის წარმომადგენლობა, რუსთა საქმეს-კი არა სწყვეტდა და არკვევდა, არამედ რუსეთის სახელმწიფოსას; ეს სახელმწიფო-კი შეიცავს არა მარტო რუსებს, არამედ მრავალ სხვა ხალხთაც, რომელთა რაოდენობა თითქმის უდრის რუსთა რაოდენობას. როგორ შეიძლება, რომ ისეთ მრავალფეროვან სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, სახალხო წარმომადგენლობა მარტო ერთის ერისაგან იყოს შემდგარი, თუ ძალმომრეობისა და მტკნარ უსამართლობის გზას არ დაადგა „გაბატონებული ერი"?.

მაგრამ თავი დავანებოთ საკითხის ამ მხარეს და ვიკითხოთ, რა დაუშავეს არა-რუსთა წარმომადგენლებმა კერძოთ „რუსთა საქმეს"? რაში გამოიხატა მათი მავნებლობა რუსთა საქმეების გადაწყვეტაში? ყველა არა-რუს ერთაგან განმარტოვებულ, განცალკევებულ ჯგუფებს წარმოადგენდნენ მხოლოდ პოლონელნი და მაჰმადიანნი. დანარჩენ ერთა წარმომადგენელნი გაითქვიფნენ რუსთა სხვა და სხვა პარტიებში, მოქმედებდნენ ამ პარტიების ხელმძღვანელობისა და დირექტივების თანახმად, ასე რომ თავისი ეროვნული ინდივიდუალობა სრულიადაც არ გამოუჩენიათ; ასეთი იყო, მაგალითად, ქართველთა წარმომადგენლების პოზიცია რ. ს.-დ. მ. პარტიის ფრაქციაში, სომხებისა—ს.-რ. ფრაქციაში, ლატიშთა—ტრუდოვიკების ჯგუფში და სხ. ყველა ეს არა-რუსნი დეპუტატები იმდენადვე „აფუჭებენ" საკუთრივ „რუსთა საქმეს", რამდენადაც ის რუსთა პარტიები, რომელთაც ისინი ეკუთვნიან. არც მეტად, არც ნაკლებად. ეროვნული ინდივიდუალობა, განცალკევება უნდა გამოეჩინათ, მაშასადამე, პოლონელთ და მაჰმადიანთ, რომელნიც ცალკე ჯგუფებს შეადგენდნენ. მაგრამ, ვინც თვალყურს ადევნებდა სათათბიროს ცხოვრებას, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ მოსძებნის ისეთს რამეს, რასაც „რუსთა საქმე"-სათვის ვნება მოეტანოს ამ ფრაქციების წყალობით. პოლონელნიც და მაჰმადიანნიც მუდამ სათათბიროს ცენტრს ეტანებოდნენ, რომელიც ისევ რუსთა პარტიებისაგან და რუსთაგან შესდგებოდნენ; კა-დეტები, ოქტომბრისტები, უპარტიო მემარცხენენი და ხანდისხან ტრუდოვიკები. პოლონელნიც და მაჰმადიანნიც თითქმის ყოველთვის მხარს უჭერდნენ ცენტრს, რადგან კადეტებივით სულ იმის ფიქრში იყვნენ, რომ სათათბირო დაიცვან და საკონსტიტუციო კანონიერ ბრძოლით პარლამენტარიზმი დაამყარონ. ესენიც, მაშასადამე, იმდენად „აფუჭებდნენ" რუსთა საქმეს, რამდენად სხვა რუსთა პარტიები, არც მეტად, არც ნაკლებად. მთელი მათი ინდივიდუალობა გამოიხატა იმაში, რომ ამა თუ იმ საქმის განხილვის დროს, დამამტკიცებელი და განსამარტებელი საბუთები თავის ერის ცხოვრებიდამ მოჰყავდათ; ეს ხომ ვერ იქონიებდა გადამწყვეტ გავლენას იმაზე, თუ რა მიმართულებას მიიღებს ესა თუ ის „რუსთა საქმე?!" მართალია, პოლონელთა კოლომ სათათბიროს წარუდგინა პოლონეთის ავტონომიის პროექტი, მაგრამ ყველამ და თვით მთავრობამაც კარგად გაიგო, რომ ამას უფრო დემონსტრაციის მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რეალურ საკანონმდებლო აქტისა. თვით პოლონელნი ამბობდნენ, რომ რუსეთის ცხოვრების დღევანდელი პირობა—მდგომარეობა იმნაირია, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ არც-კი ვოცნებობთ ავტონომიის განხორციელებაზეო. რაც შეეხება პროგრამას, ეს ავტონომია რუსთა პარტიასაც (კადეტებს) ხომ უწერიათ სადღეისო მუხლად?!..

ყველას გვახსოვს ჯერ, რა გააკეთეს და რა ილაპარაკეს სახ. სათათბიროში არა-რუს დეპუტატებმა და განმარტება არც-კია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ დაბრმავებული და უკიდურეს ნაციონალურ შოვინიზმით გატაცებული იტყვის, ვითომ არა-რუსებმა რაღაც განსაკუთრებული ხასიათი და მსვლელობა მისცეს „რუსთა საქმეებს" სათათბიროში. ამის თქმა და მტკიცება მაშინ შეიძლებოდა მხოლოდ, თუ ყველა არა-რუსნი შეერთებოდნენ და მთელ თავის მოქმედებას ყველა რუსთ დაუპირდაპირებდნენ, თუ სეპარატისტული მისწრაფება რეალურ ნიადაგად გაუხდებოდა არა-რუსთა მთელს მოქმედებას სახალხო წარმომადგენლობის დაწესებულებაში. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. პოლონელთა კოლოს მოღვაწეობის ანგარიში, რომელიც დაბეჭდილია „გაზეთ პოლსკა"-ში, ასე თავდება: „ჩვენი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან ნათლად გამოირკვა. ახლა აღარ შეიძლება ჩვენთან იმ ცილისწამებით ბრძოლა, რომელიც 1905 წელს იქმნა გავრცელებული. ჩვენ ნათლად გამოვთქვით, როგორ გვესმის ჩვენი როლი სახელმწიფოში. ახლა არავის არ შეუძლია დაგვწამოს, ვითომ რუსეთისგან ჩამოშორება გვინდოდეს. ჩვენ გავიგეთ, რომ **იმათ** არ ჰსურთ, რომ ჩვენ რაიმე გავლენა გვქონდეს სახელმწიფო საქმეებზე და რაიმე მონაწილეობას ვიღებდეთ ამ საქმეების გადაწყვეტაში. შეიძლება, **ისინი** უკეთ გაარიგებენ თავიანთ საქმეებს უჩვენოდ,—ამას მომავალი გვიჩვე-

ნებს. მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ არც ჩვენ დავითმობდით“...

დიახ, **იმათ არა სურთ**, რომ ჩვენ, ყველა არა-რუსებმა, რაიმე გავლენა ვიქონიოთ სახელმწიფო საქმეებზე, რაიმე მონაწილეობა მივიღოთ მათ გადაწყვეტაში. სხვა არაფრით არ აიხსნება ჩვენის პოლიტიკურის უფლების შეზღუდვა, რადგან განსაკუთრებული რამ „ვნება“ არ მოგვიტანია „რუსთა საქმეებისათვის“.

## პატარა ფიქრები.

„დილა“ ისტორიას სწერს:

„როგორც პირველ, ისე მეორე დუმაში სოც.-დემ. ფრაქციის ლიდერები სულ კავკასიის დეპუტატები იყვნენ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საკმარისი იყო, რომ მთავრობას კავკასია შერისხულ მხარეთ გამოეცხადებინა. და მართლაც ახალ საარჩევნო სისტემისგან ყველაზე მეტი კავკასიას მოჰხვდა“.

ილოვაისკის რომ ჰკითხოთ, რუსეთის ისტორია და მეფეთა ისტორია ერთი და იგივეა: მეფის სურვილი და მოქმედება ჰქმნის ისტორიას. არც „დილა“ წასულა ამაზე შორს. სათათბიროში სოც.-დემ. ფრაქციის ლიდერები სულ კავკასიელები იყვნენ და „ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საკმარისი იყო, რომ მთავრობას კავკასია შერისხულ მხარედ გამოეცხადებინა“. ამ რიგად, 3 ივნისის კანონის ის ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხება, გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ორი წლის განმავლობაში საქართველო გზავნიდა სოც. დემოკრატ დეპუტატებს, რომელნიც მეთაურობდნენ საპარლამენტო ფრაქციას. მთავრობამ ეს ვერ მოითმინა და მთელი კავკასია დასაჯა. ასეთი ახსნა ისტორიისა შეუძლიან ან პარტიულ ისტორიკოსს, ან გულუბრიყვილო ბავშვს.

„დილა“ ეძებს და ადვილად პოულობს იმ ისტორიულ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს კავკასიის დასჯა, მაგრამ რა შუაშია ფრაქციის ლიდერები ჟორდანია და წერეთელი? ორივე სათათბიროში კავკასია გზავნიდა 29 დეპუტატს; პირველ სათათბიროში სოც.-დემ. იყო ხუთი, მეორეში—8, მაგრამ რა შუაშია კავკასია? ორივეჯერ სოც. დემ. დეპუტატები და ფრაქციის ლიდერები გაგზავნა მხოლოდ საქართველომ, მაშასადამე, „შერისხულ მხარედ“ მთავრობას მხოლოდ საქართველო უნდა გამოეცხადებინა, რაიც ძალიან ადვილად მოსახერხებელი იყო. მთავრობას რომ მხოლ[illegible] ძლევანილა, ის მა[illegible] ართმევდა ან [illegible] ვალდგენლობას, ნამდვილად კი ისტორია ისე არ დაიწერა, როგორც „დილას“ სურს: შიდა რუსეთის გუბერნიებმაც აირჩიეს სოც. დემ., მაგრამ ამ გუბერნიებისთვის წარმომადგენლობა არ მოუსპიათ. რატომ? იქნება იმიტომ, რომ ფრაქციის მეთაურებად ჟორდანია და წერეთელი იყვნენ და არა რუსები?

„დილას“ ახირებულ ლოღიკას რომ მივყვეთ, მიზეზი სწორედ ეს არის, მაგრამ რა დააშავა პოლონეთმა? პოლონეთის „კოლო“ მეტად ზომიერი ჯგუფი იყო და მას არა ერთხელ უხსნია სათათბირო გაჭირვებისაგან და გაუგრძელებია მისი სიცოცხლე, მაგრამ „კოლოს“ ლოიალობას არავინ მიაქცია ყურადღება და პოლონეთსაც ისეთი დღე დაადგა, როგორიც კავკასიას. რამდენისამე დღის წინად „დილა“ ამას მხოლოდ იმით ხსნიდა, რომ „კოლომ“ ავტონომია მოითხოვაო. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ რატომ პოლონეთისავით არ დასაჯეს მალოროსია და ციმბირელი რუსები? მათი წარმომადგენელნიც რომ ავტონომისტები იყვნენ! მეორეს მხრით რატომ ის გუბერნიებიც არ შეზღუდეს კავკასიასავით რომლის წარმომადგენლებმა, სოც.-რევ. და სხვებმა, მიწის სოციალიზაციის პროექტი შეადგინეს და ამ საკითხს შეალიეს მთელი თავიანთი ცოდნა, ძალა და დრო?

ასე იწერება ისტორია. ჟორდანია და წერეთელი რომ კავკასიელები არა ყოფილიყვნენ, კავკასიის ბედს ძაღლი დაჰყეფდა, მაგრამ რადგან ბედმა ინება, რომ სოც.-დემ. საპარლამენტო ფრაქციას მეთაურებად უეჭველად კავკასიელი დეპუტატები უნდა ჰყოლოდა და ეს დეპუტატები სოც.-დემოკრატები აღმოჩნდნენ, ამიტომ ჩვენი ბედიც მათ გადასწყვიტეს.

„დილა“ თავის მოძმეებსავით თავით ბოლომდის გაჟღენთილია აზროვნულ მონობითა და სილაჩრით და ეხლაც მხდალ დიაცივით შიშობს საგანს მისი საკუთარი სახელი უწოდოს. მას ვერ გაუბედნია და ვერ უთქვამს, რომ 3 ივნისი ლოღიკური დასკვნა იყო რუსეთის „ნაციონალურ“ პოლიტიკისა, რომელიც მოითხოვს ერთი ერის უფლებების გაფართოვებას მეორე ერების უფლებათა შეზღუდვის ხარჯით. უფლებები წაართვეს კავკასიასა და პოლონეთს, ერებს: ქართველებს, სომხებს, მაჰმადიანებს, პოლონელებსა და, [illegible] და სოც.-დემოკრატები! ჩვენ იმიტომ კი არ გამოგვგლიჯეს ხელიდან ესოდენ ტანჯვავაებით მოპოვებული უფლებანი, რომ ორჯელვე სოც.-დემოკ. და მათი ფრაქციის ლიდერები გავგზავნეთ პეტერბურგში, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები, პოლონელები და მაჰმადიანები ვართ. მაგრამ „დილა“ ამის აღიარებას გაურბის, თვალებზე ხელს იფარებს და აბდა უბდით აპირებს ნამდვილ მიზეზების გადაფუჩეჩებას.

**მ. ა.**

# ახალი ამბავი

**გაქცევა და მოკვლა.** პარასკევს, 22 ივნისს, ღამის 11 საათზედ, პატრულს მიჰყავდა დაპატიმრებული გორის მაზრის მცხოვრები ივანე ესიაშვილი, რომელსაც იარაღი ჰქონდა. არსენალის გზატკეცილზე ესიაშვილმა, პოლიციის ცნობით, გაქცევა დააპირა. თოფი ესროლეს ესიაშვილს და მოჰკლეს.

✦ **მკვლელობა.** დიდუბეში, ელისაბედის ქუჩაზე, 22 ივნისს, საღამოს 10 საათზე, ვიღაცამ რევოლვერით დასჭრა მიხეილ გაიშვილი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

✦ **სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს მოკლე პროგრამა სპარსეთელ ქართველის ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილის მოხსენებისა: 1. გადმოცემული ამბები ქართველების სპარსეთში გადასახლებისა და იქ დასახლების შესახებ; სჯულის გამოცვლა და დარჩენილი ძველი ჩვეულებანი; ავღანის შემოსევა, ნადირშაჰის დრო, ქართველების მოლონიერება, ქერიმ ხანისა, აღამაჰმადხანის და ფატალი შაჰის დრო: მაჰმად ხანის ამბავი და თურქების დაშინება, ფატალი შაჰის სიკვდილი და [illegible] ქართველთა სოფლების აკლება და დაწვა, განდევნა თურქებისა; მაჰმად შაჰის დრო და ხალხის დამშვიდება, ნასერედინ შაჰი, შიმშილობა, გაყიდვა საყდრო მამულებისა და ხალხის დამონავება, მიწის მფლობელობა. [illegible] ზამთარ-ზაფხულ, [illegible] ზამთარში; გადასახადები; განსხვავება ქართველებსა და სხვა მცხოვრებთა შორის. სწავლა-განათლება, სპირსული სკოლები, მათი ნაკლულევანება, სწავლების წესი, არაბული სწავლება—ყურანი, მისი გაუგებრობა, სპარსული სწავლება, სწავლის სიყვარული ქართველებში და შაჰნამეს გატაცებით კითხვა და სხ.

✦ **ქართული საზოგადოება მოსკოვში.** მოსკოვის გრადონაჩალნიკს დაუმტკიცებია წესდება ქართულ საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა. საზოგადოებას თავმჯდომარედ აურჩევია დრამატურგი თავ. ა. სუმბათაშვილი.

✦ **გაძევება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში სამის წლით—დუშეთში დაპატიმრებული ანდრია ციხიშვილი, თელავში დაპატიმრებული ივანე არაქელაშვილი; პირველს ჰბრალდება წითელ რაზმელობა და ძარცვა-გლეჯა, მეორეს—ყაჩაღობა; რევოლვერის ტარებისთვის ასტრახანის გუბერნიაში სამის წლით იგზავნებიან შემახელი მაჰმად აბდულ-ქიარიმოღლი. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ალექსანდრე ბაკურაძეს, მიკ. კირაკოზოვს, მიკ. სიმონიანცს, მაგარლ ასან-ოღლის და დავრიშ ვალიოკილის. ქალთა ტანისამოსის სახელოსნოს პატრონი ყაზბეგის ქუჩაზე მელენჩუკი დაჯარიმებულ იქნა 200 მანეთით.

✦ **ქართული ლექცია.** პარასკევს ტფ. საკრებულოში პრივატ-დოცენტმა ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა პირველი ნაწილი დაპირებულ ლექციისა: „კულტურის ისტორია საქართველოში“. ლექცია მეტად საინტერესო იყო. ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ. დღეს, საღამოს, 7 საათზე, იმავე სადგომში ბ-ნი ლექტორი დაასრულებს თავის ლექციას.

✦ **მოთხოვნილებანი.** 19 ივნისს მეაფთიაქეებს იაკუბოვიჩსა და არისტაკოვს მოთხოვნილებანი წარუდგინეს ფარმაცევტებმა და შეგირდებმა. მოთხოვნილებანი შეუსრულეს. მეაფთიაქემ კოჩინევმა თავისსავე ნებით შეუსრულა მომუშავეთ მოთხოვნილებანი.

✦ **„კახეთის“ საზოგადოება.** „კახეთის“ საზოგადოების საზოგადო კრებაზე არჩეულ კომისიის წევრი თავ. ი. ვაჩნაძე ამ დღეებში კიდევ გამგზავრებულა კახეთში ახალ მუშების ჩამოსაყვანად. ამ დღეებში ვე საზოგადოების გამგეობამ, ბოიკოტის გამოცხადების გამო, მიმართა სატრანსპორტო კანტორებს, რომ მათ აიღონ თითონ გაგზავნა ღვინისა საზოგადოების სხვა ქალაქების განყოფილებებში.

✦ **ადგილების შემფასებელი კომისია.** ნაძალადევში ადგილების შემფასებელმა კომისიამ უკვე შეაფასა ნაძალადევის მთა-გორიანი ადგილები. დანარჩენი ადგილებიც მალე იქნება შეფასებული. კომისია თავის მოხსენებას მალე წარუდგენს ქალაქის გამგეობას.

✦ პარასკევს, 22 ივნისს, ღამის $11^{1}/_{2}$ საათზედ, რიყის ქუჩაზედ ქვრივს სოფიო კოტრინისას შევარდნია 5 შეიარაღებული კაცი და ფული მოუთხოვნია. უცნობებს კამოდის უჯრიდან ამოუღიათ 700 მან. ფულად და 1000 მან. ბანკის ბილეთი და მიმალულან.

✦ ამას წინად გწერდით, რომ მცხეთის მახლობლად თავს დაესხნენ კასადის მონასტერსაო. ბევრს ეს მონასტერი სამთავის მონასტერი ჰგონებია. კასადის მონასტერი სხვაა და იქ რუსი მონაზვნები არიან.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის მე 12 ნომერი (მცირე წლოვანთათვის) შინაარსი: „გაუმაძღარი კატა“, ჯ დექსი თარგ. კანდელაკისა; „მშიშარა ანიკო“, ცქვიტისა; „ფული“, ე. კ—თანისა; „არაფერი“, პლატონ კაჩეიშვილისა; „მოტყუება“, თარ. ს. რომანიშვილი—დგებუაძისა და გამოცანები.

✦ 23 ივნის გათენებისას, ნაძალადევში რუსთველის ქუჩაზე რევოლვერების სროლა ასტყდა ლოტკის გორაზე გაუქურდიათ ერთი ოჯახი. ნიანაქურდალი ტომარაში წაეწყოთ და რუსთველის ქუჩაზე ჩამოეთრიათ. ეს შეუმჩნევიათ მეეზოვებს, გამოსდგომიან. ქურდი ოთხი ყოფილა. ქურდებს დაუგდიათ მოპარული ნივთები დამიმალნენ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ იმ მაზრებსა და იმ ქალაქებში, სადაც ამომრჩეველნი უნდა აირჩიონ, სიებს შედგენას შეუდგნენ. საქმის წარმოება არჩევნების შესახებ კვლავინდებურად მოთავსებულია საგლეხო საკრებულოს კანცელარიაში. ქუთაისის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა სიების შედგენას, თანახმად ახალ საარჩევნო კანონისა. სიების შედგენა მიენდო გ. თუთბერიძეს.

✦ ქალაქის ხაზ[illegible]ისხვა საბჭომ უკვე დაამტკიცა და ამ დღეებში გაეგ-

---

# ფელეტონი

### ...იმ შავ-ბნელ დღის სწორზე...

(ამბავი)

— მაშ, აგრე... სოფელი გაძევებას მიპირობდა, ჰა?—დაეკითხა მამა ათანასე ჩუპრია დიაკვანს და თვალი თვალში გაუყარა.

— არ ვიცი, შენმა მადლმა!..—რაღაც ჩოჩქოლი-კი ჰქონდათ და!..

— რათაო? რისთვისაო? რა დანაშაული მიმიძღოდა? მკვდარი არ დამიმარხავს, შვილოსან, ბავშვი არ მომინათლავს, თუ უზიარებელი მომიკლავს ვინმე, ჰა?

— არ ვიცი, შენმა მადლმა!..

— ათის-თავი შენ იყავ, შვილო, და, მაშ, ვიღამ უნდა იცოდეს?

— მე თუ ათის-თავი ვიყავ, შენი შვილი—სიკულა—ასის-თავი იყო, მერე—რა?—იწყინა დიაკვანმა და ხელადით მაგიდა დაარახუნა.

ოთახში შემოვიდა ჰუჰყად ქცეული ბიჭი და მღვდელ-დიაკვანს ბოჩოლასავით მიაჩერდა.

— ღვინო!—მოკლედ უბრძანა დიაკვანმა და ხელადა მიაწოდა.

ეს მოხდა დაბა ურიათ-კარის ერთ-ერთ სამიკიტნოს მყრალსა და ბნელ ოთახში, იმ შავ-ბნელ დღის სწორზე, როცა ქართლის სოფლებს ალალივით წამოუქროლეს, დაწყებული სიმღერა თავისუფლებისა შუაზე გააწყვეტინეს და ძლევამოსილივით დაბა ურიათ-კარში დაბინავდნენ.

ამ დღეს მღვდელ-დიაკვანმა დილითვე მოისაქმიანეს და, რადგანაც შორი გზა ჰქონდათ გასავლელი, დასანაყრებლად სამიკიტნოში შეუხვიეს. დანაყრებას ერთი ხელადა ღვინო მოჰყვა, ღვინოს—მუსაიფი, და მუსაიფს კიდევ—ცოტა შეხირება: ხალხის დამარცხებით გათამამებულმა მღვდელმა ერთობასა და დიაკვანს დაცინვა დაუწყო, დიაკვანს ეს ძალზე ეწყინა, მაგრამ, რადგანაც ფხიზელმა ვერა გაუბედარა—ცხვარივით კაცი იყო—გულზე დაიქდია და მეორე ხელადაც მოითხოვა.

ვიდრე ღვინოს კიდევ მოუტანდნენ, მღვდელ-დიაკვანი სდუმდნენ, ერთმანეთს მარტო თვალით-ღა ზომავდნენ. მაგრამ ამ დუმილში, ამ გამოხედვაში ნათლადა სჩანდა მათი გულის პასუხი: მღვდელს უხაროდა, რომ ამიერიდან დიაკვანი ისევ ძველ წილზე უნდა დარჩენილიყო, დიაკვანს კი გული უბრაზდებოდა, რომ ერთობის სახელით ველარ ალაგმავდა მამა ათანასეს გაუმაძღრობასა და ბატონობას.

— ღმერთო, შენ მოწყალებას ნუ მოაკლებ ამ სუფრას!—დაარღვია მკვდრული სიჩუმე ოთახში შემოსულმა მიკიტანმა და სველ-სველი ხელადა მაგიდაზე დასდგა.

მღვდელ-დიაკვანი თავ-თავისს ფიქრებიდან გამოერკვნენ და ერთხმად მადლობა გადაუხადეს.

— ერთი ჰიქა ღვინო დაგვილიე, მამაშვილობასა!—მიიპატიჟა მღვდელმა მიკიტანი.

— მადლობელი ვარ... მთელი დღე ვსვამ ამ დალოცვილ ნუნუასა. უძირო ქვევრი ხომ არ არის ეს ოხერი ჩემი მუცელი?—სტუმრების გასამხიარულებლადა სთქვა მიკიტანმა და გაწვდილ ჰიქას ხელი მოჰკიდა.

— მაგოდენა კაცს რა ღვინო მოგერევა?—სიტყვა ჩაურთო დიაკვანმა და ცოტა იქით მიიწია, დასაჯდომი ადგილი დაუთმო.

მართლადაც, ამ მიკიტნისთანა წარმოსადეგი ვაჟ-კაცი ამ დაბაში მეორე არ მოიპოვებოდა. მაღალი, მხარ-ბეჭიანი და ძვალ-მსხვილა სწორედ მდევსა ჰგავდა. გრძელი ჰალარა წვერი ქამარზე სცემდა და მშვენიერ თვალებს ხარივით ატრიალებდა. მუდამ მოცინარს, მხიარულს, კარგ მეთარეს და მომღერალს, მუშტარი ბუზივით ეხვეოდა და ესეც კარგ მასპინძლობას უწევდა. სახელად ონისიმე ერქვა, მაგრამ მისი სახელი ბევრმა არ იცოდა. ზოგი „ბლაღოჩინს“ ეძახდა—გრძელი წვერებისათვის და ზოგიც ზაქი-ყლაპიას—ახოვანებისათვის.

— აბა, ზაქი-ყლაპია, მიირთვი ღვინო!—გაუმეორა მღვდელმა.

— მამაოჯან!—დაიბუბუნა მიკიტანმა და ჰიქა მაღლა ასწია:—მაშ... იცი, რა იყოს? ეს... ღმერთმა გაუმარჯოს ახალთაობას, რომ მტერ-მოყვარე დაგვანახვა!..

— გაუმარჯოს!—აღარ დაათავებინა ჩუპრიამ და ჰიქა გამოცალა.

— ე ქვეყანა კი აურიეს და!...—წაიბურტყუნა მღვდელმაც.

— ჰო და ვენაცვალე-მეთქი იმ არევ-დარევას, რაღა ვა! იმ არევ-დარევით არ გავიგეთ, ვინც არის ჩვენი მტერი?—გაიკვირვა ზაქი-ყლაპიამ, დიაკვანს ჩუმად თვალი ჩაუკრა და ჰიქას სიამოვნებით დაეწაფა.

— დაიცა ერთი, მამაშვილობას, მე რომელი მტერი მნახა სოფელმა, რომ გამოგდებას მიპირობდა?—გამარჯვებულის ღიმილით შეეკითხა მამა ათანასე.

— შენა, მამაო? შენ გიპირობდნენ გამოგდებას? ვა, ვა, ვა! ეგ არ ვიცოდი?!..

— მაშა, კაცო!—გამხნევდა მღვდელი.—მამაშვილობამ, ჩემისთანა გულ-შემატკივარი სოფელს მეორე არა ჰყოლია... ერთი კაციც არ მომიკლავს უზიარებლად...

— აბა, მაგას რად ამბობ, მამაო!—სწვდა პირში ჩუპრია.—სოფლის წინაშე ყველა დამნაშავე ვართ... სოფელს ყველა ვწველით.

— შენისთანა ლაწირაკები თუ სწველიან, თორემ...—იტკიცა მამა ათანასემ.

— ჩემისთანა ლაწირაკები კი არა, შენისთანა მუქთა-ხორები!..

— ერიჰაა, ჩუპრია, მე შენ ჰკვიანი კაცი მეგონე!—გასაშველებლად ჩაერია ლაპარაკში ზაქი-ყლაპია და ჩუპრიას ხარივით შეჰბღვირა—აბა, ეგ რა სათქმელია? ხალხი, ახალ-თაობა ყველას დააფასებს...

— მგონი, შენც კი დავთრები დაგიფრთხეს?—უფრო დიაკვნის გასაჯავრებლად შეეკითხა მღვდელი მიკიტანს.

— ვისა? მეე? აი, მაშ გამიშავდეს ეს სიყრმე, თუ... ვა, ვა! რა ოხრად მინდა ქონება, თუ კი ხალხი გამიწყრება! არა, მამაო, ჩვენ სულ სხვა ყაიდისანი ვართ; ღმერთმა ამრავლოს ქვეყანა, თორემ... რა ვქნათ...

ამ დროს დუქანში მთელი კამპანია შემოვიდა. ღრიანცელითა და სიცილხარხარით მოედვნენ ყველა კუთხეს და, ბოლოს, მღვდელ-დიაკვანს შეუერთდნენ. მათში ორი „ახალ-თაობის“ კაციც ერია.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!.. აბა, ღვინო!—ახმაურდა გულ-მოცემული ჩუპრია.

ზაქი-ყლაპია და დუქნის სხვა ბიჭებიც დაფაცურდნენ. მალე მაგიდა მაგიდას მიადგეს, ხელადა ხელადას მიუმატეს და... გახურებული სმა გაიმართა.

იმ დროს, რა დროსაც ეს ამბავი მოხდა, დაბა ურიათ-კარში ადამიანს შიშით არ გამოესვლებოდა. ქუჩები მხედრობითა და ჯაშუშებით იყო სავსე. შინაური თუ გარეული—არამც თუ წარჩინებული მოხელე, არამედ ქუჩის უბრალო მხვეტელიც კი,—ეშმაკეულივით იბღვირებოდა და ერთობის ხალხს ეჭუქრებოდა. ერთობაზე ხმა მაღალი მსჯელობა კი არა, ფიქრიც აკრძალული იყო, მაგრამ „ერთობის ხალხი“ თავისას არ იშლიდა და ყველგან: ქუჩასა, თუ სახლში, საყდარსა, თუ დუქანში, ისევ თავისას გაიძახოდა... ჩვენი მოქეიფენიც წამდაუწუმ სვამდნენ ერთობის სადღეგრძელოს და მის განმტკიცებაზე ოცნებობდნენ.

— დაასხი, დამალევინე, ე ღვინო ოხერ-ტიალი, იქნება წამმა ვიფიქრო, ქვეყნის უკუღმა ტრიალი!

შემოსძახა ზაქი-ყლაპიამ და მერიქიფეს ყანწი გაუწოდა.

— იფიქრე... იფიქრე, გენაცვალე მაგ ფაფუკ წვერებში, ბლაღოჩინო!—უპასუხა მერიქიფემ და ყანწი ღვინით გაუვსო.

ყანწი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამაღლევებელ და გამამხნევებელ სადღეგრძელოებს დასასრული არა ჰქონდა...

— ხალხის დიდებულმა მოძრაობამ,—დაიწყო ერთმა ყმაწვილმა, რომელიც „ახალ-თაობად“ ითვლებოდა—ყველა ჩაახედა თავის გულის სიღრმეში და იქ ყოფნა არ ყოფნის საკითხი ამოაკითხვინა. მოულოდნელმა სტიქიონმა დედა-ბუდიანად შეარყია ჩვენი დახავსებული ცხოვრება და თითოეულ ჩვენგანს ამ საკითხის ავად-თუ კარგად გადაწყვეტა მიუსაჯა. სხვა და სხვა წოდებისა და კლონების კაცმა სხვა და სხვა ნაირად შეხედა ამ გადაწყვეტის საქმეს, მაგრამ ის კი ყველასათვის ეჭვს გარეშეა, რომ ჩაგრულთა ტანჯვა-ვაებამ, დღესა თუ ხვალ, სამარე უნდა გაუთხაროს ათას გვარ უსამართლობას და ყველას ღირსეული უნდა მიაგოს. ამიტომაც არის, რომ არამც თუ მთავრობის სისასტიკემ, არამედ თვით უდიერად მოპყრობამაც კი ერთობის სახელით—მე ვგულისხმობ იმ წითელ-რაზმელებს, რომელთაც ბოროტად მოიხმარეს ამხანაგების ნდობა და გახულიგანდნენ—თვით ერთობის სახელით ბოროტმოქმედებაც-კი—მეთქი, გული ვერ გაუტეხეს ჩვენ ხალხს და მომავალს კვლავ იმედიანად შეჰყურებს... მაშ... გაუმარჯოს ხალხის ფიქრს, გაუმარჯოს ქვეყნისთვის თავ-დადებულ ახალ-თაობას!—დააბოლოვა ამ ყმაწვილმა და ალავერდს მღვდელთან გადავიდა.

მღვდელი უკვე მთვრალი იყო, მაგრამ ის კი კარგად ახსოვდა, რომ იმ ჟამად ურიათ-კარში დამსჯელ რაზმის დროშა

ზავნება გუბერნატორს. შემოსავალი და გასავალი ცალ-ცალკე უდრის 355.701 მან. 72 კ. ხარჯ-აღრიცხვის განხილვის დროს ქალაქის საბჭომ სრულებით არ იქონია მსჯელობა მოსამსახურეთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნილების შესახებ და უყურადღებოდ დასტოვა იგი.

✦ თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და ხაზინაში შენახული ფული, ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგებად, გადაიტანეს აზოვ-დონის ბანკში. ამის წინაღმდეგს ვინ რას იტყოდა, რომ ეს ფული სხვა საჭიროებას ბრწყინვალე წოდებისას არ დაახარჯონ; ეს შიში, როცა ხაზინიდან ფული აზოვ-დონის ბანკში გადაჰქონდათ, ბევრსა ჰქონდა და იგი კიდეც გამართლდა. ჩვენ დანამდვილებით შევიტყეთ, რომ დეპუტატთა საკრებულოს მოხელეების დასაკმაყოფილებლად და ამავე საკრებულოს ვალების გასასტუმრებლად ამ ფულიდან სესხულობენ 6000 მანეთის იმ პირობით, რომ ეს ფული შეავსონ თავად-აზნაურთა გადასახადიდან და ბანკში შენახული ფულის სარგებლით. გადასახადი რომ დროზე შემოსვლოდა თავად-აზნაურობას, არც ვალი დაედებოდა და ამიტომ იმედი იმისი, რომ შემოსავალით დაიფარება გამოტანილი ფული, საეჭვოა. რაც შეეხება ბანკში შენახულ ფულის სარგებელს, სასაცილოა, მეტი რომ არა სთქვას კაცმა, რომ ამ სარგებლით დეპუტატთა საკრებულოს ვალი შეივსოს. შენობის თანხის სარგებელი დეპუტატის საკრებულოა და არა დეპუტატის საკრებულოს და რათა ჰგონიათ, რომ ამ სარგებლით შესაძლებელია ვალის გასტუმრება? აზოვ-დონის ბანკში ამ ჟამად შენახულია 36.165 მან. 90 კ.

✦ ქალაქის საბჭომ უკანასკნელ თავის სხდომაზე შეამცირა ხორცის ნიხრი თითო გირვანქაზე ერთის კაპეიკით. აქამდის გირვანქა ხორცი უნდა გაყიდულიყო 12 კაპეიკად, ახალის ნიხრით კი 11 კაპ. ნიხრს-კი აწესებს ქალაქის საბჭო, მაგრამ ყასბები ისე იქცევიან, როგორც სურთ. აქამდის ნიხრით ხორცი უნდა გაყიდულიყო 12 კ., მაგრამ 13 კაპეიკზე იაფად ვერსად იშოვიდით.

✦ ქალაქის საბჭომ არ შეიწყნარა რკინის გზის გამგეობის შუამდგომლობა, რომ წყლის საყვანი მილები ჩაეყარათ ქუთაისის ქუჩებში წყლის გასაყვანად სადგურზე. ამ სხდომაზე საბჭომ რკინის გზის გამგეობის თხოვნაზე იქონია მსჯელობა და ნება დართო ხსენებულ გამგეობას, რომ უსასყიდლოდ ისარგებლოს ქალაქის ადგილით ლიანდაგის მახლობლად არხების გასაყვანად.

✦ ჭიათურაში დააპატიმრეს ი. კაკვაძე, რომელიც მრეწველთა კრებაში იღებდა მონაწილეობას. საზოგადოთ ბოქაული კედია დიდ მხნეობას იჩენს ხალხის შეპყრობის საქმეში და ამას ისიც უწყობს ხელს, რომ გაიჩინა მთელი „შტატი“ ჯაშუშებისა.

✦ გაზეთების დამტარებლებისა და გამყიდველების გაფიცვა ქუთაისში 20 ივნისს შესწყდა. სამედიატორო სამართალმა, რომელმაც გაარჩია საქმე გაფიცულთა და გაზეთების საგენტოს შორის, გაფიცულთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა.

## შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

20 ივნისი.

20 ივნისს თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, გაუთავებელ ლაპარაკის თავიდან ასაცილებლად რამე ზომები მიეღოთ. კრებამ, თავმჯდომარისავე წინადადებით, თანხმობა გამოაცხადა, რომ ერთსა და იმავე ორატორს საგანზე ოთხჯელ მეტად არ შეუძლიან ლაპარაკი, თითოჯერ ხუთის წამით. ასეთმა განკარგულებამ ბევრი პირ წყლიანი ორატორი დააღონა. ეს წესი რომ აქამდის მიეღოთ, ეჭვი არ არის. კრება ეხლა გათავებული იქნებოდა.

კრების განსახილველად თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ჭიათურის შტოს გაუმჯობესობის შესახებ, ზდანოვიჩმა სიტყვიერად შემდეგი მოახსენა კრებას: როცა ჭიათურის გზას აშენებდნენ, ჭიათურიდან გაჰქონდათ 4—5 მილიონი ფუთი შავი ქვა და, როგორც საზოგადოდ ხდება რუსეთში რკინის გზების გაყვანის დროს, ჭიათურის გზა შეუფარდეს მაშინდელს მდგომარეობას მრეწველობისას. ცხოვრებამ სულ სხვა დაგვანახვა და, 4—5 მილიონ ფუთის მაგივრად, ეხლა წლიურად გააქვთ არა ნაკლებ 30 მილიონისა. რკინის გზას რომ მეტის გადატანა შეეძლოს, შარშან მეტ მადანს გადაიტანდნენ. მრეწველთა კრება ყოველ შემთხვევით სარგებლობდა, მთავრობისათვის ეცნობებინა, რომ არსებული გზა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ამასთან შუამდგომლობდა, რომ რკინის გზა უკეთ მოეწყო. დღეს საქმე ისეა მოწყობილი, რომ საუკეთესო პირობებში ყოველ დღიურად შეიძლება წამოვიდეს ჭიათურიდან 240 ვაგონი; ეს რიცხვი ვაგონებისა მრეწველთა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და თუ გარეშე ამისა მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ გზას საჭიროებს ჭალის მთა, სადაც ინგლისელთა კამპანია უკვე შეუდგა მადნეულობის ექსპლოატაციის საქმეს, და მცხოვრებნიც, მაშინ თვალ საჩინო გახდება, რომ ჭიათურის გზა უნდა განიერ ლიანდაგიან გზად გადაკეთდეს, ან და მეორე დაეგოს. კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რა უფრო ესაჭიროება მრეწველობას—ორ-ლიანდაგიანი გზა თუ განიერ ლიანდაგიანი. ზდანოვიჩმა უპირატესობა განიერ ლიანდაგიან გზას მისცა ამ მოსაზრებით: საჭირო აღარ იქნება შორაპანში მადნის გადატვირთვა და მრეწველნი ვალდებულნი აღარ იქნებიან ყოველი ფუთი მადნის გადატვირთვაზე 1/8 კაპეიკი იხადოს, რაც წლიურად შეადგენს 100.000 მანეთს. გარდა ამისა, თუ ვიწრო ლიანდაგიანი გზა დარჩა, რკინის გზის გამგეობა იძულებული იქნება შორაპანში დიდ ძალი ვაგონები შეინახოს ჭიათურიდან მოტანილ მადნის გადასატვირთავად, ხოლო თუ განიერ ლიანდაგიანი გზა გავიდა, ზედმეტი ვაგონები საჭირო აღარ იქნება. აწინდელი ლიანდაგის გაგანიერებას, მცოდნე პირთა სიტყვით, დასჭირდება არა უმეტეს მილიონ ნახევარ მანეთისა. გაგანიერება შეიძლება ისე მოხდეს, რომ მადნის მსვლელობა ერთი დღითაც არ შეფერხდეს; რკინის გზის გამგენიც მომხრენი არიან განიერ ლიანდაგიან გზისაო.

ასეთი განმარტების შემდეგ, ერთხმად გადასწყდა, რომ არსებული გზა განიერ ლიანდაგიან გზად გადაკეთდეს და შესაფერი შუამდგომლობა აღძრას იმ პირობით, რომ გზის გადაკეთების დროს მადნის მოძრაობა არ შესწყდეს.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ კრების განსახილველად დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მრეწველთა კრებაზე მუშათა წარმომადგენლებმაც მიიღონ მონაწილეობა. მოხსენება ამ საგნის შესახებ წაიკითხა კიტა აბაშიძემ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ საყვედური სარევიზიო კომისიისა და კრების ზოგიერთ წევრისა საბჭოსა მიმართ იმის გამო, ვითომ საბჭომ არ მოინდომა მუშათა წარმომადგენლების დასწრება მეცხრე კრებაზე, უსაფუძლოა; შემდეგ იგი არსებითად შეეხო საკითხს. საკითხი მუშათა წარმომადგენლობისა მრეწველთა კრებაზე საზოგადოდ შეუმუშავებელია, და აბაშიძის სიტყვით, თუმცა ასეთი წარმომადგენლობა საჭიროც არის და სასარგებლოცაო. უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი უდრიდა საშუალოდ 2907 კაცს და მათ ყოველ წლიურად გამოჰქონდათ 27 მილიონი ფუთი. უკანასკნელ სამი წლის კვალობაზე რომ ვიანგარიშოთ, თითო მუშას გამოჰქონდა 10.000 ფუთი მადანი. მრეწველთა კრებაზე რომ ყოველ 300 მუშას თითო წარმომადგენელი მიეცეს, წარმომადგენელთა რიცხვი 10 იქნება და ეს 10 კაცი სოფლებად ასე განაწილდება: რგანსა და ზედა რგანს მიეცემა 2 წარმომადგენელი, მღვიმევს, ხალიპაურს და თაბაგრებს 4 წ., დარკვეთს 1 წარმომადგენ., პერევისს—1 წ., შუქრუთს და ითხვისს 2 წ. ერთი წარმომადგენელი შეიძლება მიეცეთ მადნის მზიდავებს და ერთიც დამტვირთველებს და, ამ ნაირად, წარმომადგენელთა რიცხვი იქნება 12. წარმომადგენელთა რიცხვი და მათი განაწილება სოფლებად შეიძლება შეიცვალოს იმის და გვარად თუ რამდენი მუშა იქნება ამა, თუ იმ სოფელში და საზოგადოდ ყველა მადნებში. ხმის უფლება ყველა მუშას ექნება, და არჩევნები ყოველ წლივ მოხდება მრეწველთა კრების ერთი თვის წინად. მუშებს მრეწველთა კრებაზე გადამწყვეტი ხმა მიეცემათ.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ გ. გოგიბერიძემ განაცხადა, რომ კითხვის დროს მოხსენებამ ისეთი შთაბეჭდილება იქონია, თითქო ცენზის სისტემა იყოს გატარებული არჩევნების დროს.

კიტა აბაშიძემ სთქვა: ცენზზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მოხსენებაში. აღნიშნულია მხოლოდ, რომ განსაზღვრულ რიცხვს მუშებისას წარმომადგენელის არჩევის უფლება ეძლევათო.

გ. გოგიბერიძემ სთქვა: ისა სჯობია, წარმომადგენლობა მუშებს მიეცეთ პროფესიების კვალობაზე, რომ ყოველმა პროფესიამ თავისი ინტერესები დაიცვას. წარმომადგენლს არ უნდა იყვნენ მოკლებულნი ფოთელი მუშები კარგი იქნება, რომ კამათი ამ საგანზე გადაიდოს ერთის დღით მაინც, რომ კერძო კრებაზე უფრო დაწვრილებით განვიხილოთ აბაშიძის მოხსენებაო.

საკითხის განხილვა გადაიდო 21 ივნისისათვის.

ინჟ. ავდეევმა წაიკითხა იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც უნდა გამოეკვლია, რა უჯდება მრეწველთა საბჭოს ერთის ავადმყოფის შენახვა დღეში. ავდეევის სიტყვით, თუ მთელ ხარჯს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ერთი ავადმყოფის შენახვა დღეში ჯდება 4 მ. 20 კ., მაგრამ თუ საერთო ხარჯს გამოვაკლებთ იმას, რაც იხარჯება მოსიარულე ავადმყოფებზე, წამლებზე, მოსიარულე ფერშლებზე და სხ., თითო ავადმყოფის შენახვა ჯდება დღეში 3 მ. 74 კაპ.

ბარ. მოსეშვილი: საავადმყოფოს შენახვა ძვირად გვიჯდება და ზომები უნდა მივიღოთ, რომ ხარჯი შევამციროთ. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია: წყალი გამოვიყვანოთ პერევის დგან საავადმყოფოში, რაც წყლის წლიურ ხარჯს 1500 მანეთს შეამცირებს; მოვსპოთ ქირურგიული განყოფილება და ავადმყოფნი ვაგზავნოთ ქუთაისში ან ტფილისში; დავაარსოთ წამლების გასაიაფებლად საავადმყოფოში წამლების საწყობი და შეშის ხარჯი მოვაწესრიგოთ ისე, რომ ყოველ მოსამსახურეს გადავუწყვიტოთ განსაზღვრული რაოდენობა შეშისა.

გ. ზდანოვიჩი: წამლების საწყობი ეხლაც არის და იაფად გვიჯდება. თუ ბ-ნ მოსეშვილს სურს აფთიაქი დავაარსოთ ჭიათურაში, მაშინ მცოდნე ხალხმა უნდა გამოიანგარიშოს, რამდენად ხელსაყრელი იქნება აფთიაქის დაარსება იმ დროს როცა ჭიათურის აფთიაქი წამლების ფასის 30% გვითმობს.

იმის გამორკვევა, თუ რამდენად ხელსაყრელია საკუთარ აფთიაქის დაარსება, გადაეცა საფინანსო კომისიას, ხოლო ქირურგიულ განყოფილების მოსპობის საკითხი გადასწყდა კენჭის ყრით: 22 ხმით, წინააღმდეგ 9 ხმისა, გადაწყდა ქირურგიული განყოფილება დარჩეს.

კრება გადაიდო 21 ივნისისათვის.

## პროვინციის ცხოვრება

**რაჭა.** ყოველ იმ უბედურებას, რაც ორი წლის განმავლობაში რაჭას ხვდა წილად ავაზაკთა და სხვათაგან, წრეულ გაზაფხულზე ზედ დაერთო საშინელი გვალვა, რომელიც აპრილის შუა რიცხვებიდან დაწყებული ივნისამდის გაგრძელდა და რომელმაც ნათესობა სულ ერთიანად გახმო. რაჭველებს, რა თქმა უნდა, წლის პური არ მოუვათ, მაგრამ ისინი პურს ისე არ დარდობენ, როგორც ბზეს, რადგან ზამთარში საქონელი შიმშილით დაეხოცებათ უბზეობითა და უთივობით. შესაძლებელია, თუ გვალვა კვლავ არ განმეორდა, სიმინდი ცოტა მაინც მოვიდეს, ამ ჟამად-კი მთელ რაჭას აკლის სიმინდი და მოტანილით იკვებება. მოაქვთ ლეჩხუმისა და ნაქერალის გზით და თითო ფუთში აძლევენ შვიდსა და რვა აბაზს. ოსეთიდან სიმინდის ზიდვა გვიან დაიწყო, რადგან დიდი ზამთრის გამო, გზა გაფუჭებული იყო; ეხლა იქიდან დაიწყეს ზიდვა, მაგრამ ისეთი უხეირო სიმინდი მოაქვთ, რომ, გაჭირვებას რა უნდა კაცმა, თორემ სასყიდელი არც-კია. ჭირნახულთან ერთად გაძვირდა ღვინო და საკლავი საქონელი. წყალ-წყალა ღვინო ფუთი 5—6 მანეთად იყიდება, ხოლო ხორცს გირვანქას 25 კაპ. ნაკლებად ვერ იშოვნით. ვენახები კარგ მდგომარეობაშია და თუ რამე სენი არ გაუჩნდა, კარგი მოსავალია მოსალოდნელი.

ზემოდ ავაზაკები მოვიხსენიე. თუმცა ცნობილ ავაზაკებს ბოლო მოეღოთ, მაგრამ შიგა და შიგ ცარცვა-გლეჯა მაინც ხშირია. არ შემიძლიან გულის ტკენით არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ზოგიერთა ჩვენებურმა გაზეთებმა ქვეყნის ამომგდები ავაზაკები წითელ რაზმელების სახელით მონათლეს და მათ მხეცურ მოქმედებას ბოდიშს ხდიდნენ. ამ ჟამად დრო და გარემოება ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით აღვნიშნოთ ის საზიზღრობა, რომელიც რაზმელებად წოდებულმა ავაზაკებმა რაჭაში ჩაიდინეს. მოკლე ხანში დაწვრილებით აღვნუსხავთ მათ

---

ფრიალებდა, ახსოვდა, რომ ხალხი გატეხილი იყო და რადგანაც ათანასე არამც თუ მებრძოლი, კარგი ადამიანიც კი არ იყო,—მთავრობის მხარეს რჩებოდა. ეს კარგად იცოდა ჩუპრია დიაკვანმა და მღვდლის საძირში ჩადგომას სცდილობდა.

—არა... მე არა მრწამს-რა ახალ-თაობისა!.. ჯერ ბავშვები ხართ... ცხოვრებისა არა გესმით-რა... როგორც გვიწირავს, ისევე უნდა ვწიროთ!..—იუარა სადღეგრძელო მამა ათანასემ და წინაპრების შესანდობარი დალია.

—აი, შენ კი გამოუდექ ჩვენ მიცვალებულებს!—დაეტაკა ჩუპრია:—რატომ წინად კი არ ბრძანებდი მაგრე? გახსოვს კვერექსებშიც კი ახალ-თაობას იხსენიებდი? დაგავიწყდა, განა, რაკი ახლა რეაქციაა!!.. შე... შე...

—აგრე ნუ ამბობ, თორემ... ინანებ, მღვდელო!—მიეშველა ჩუპრიას მეორე ხალგაზდა და მღვდელს თვალები დაუბრიალა.

—მართალია, აპატიეთ... ვა, ხათაა!—ჩაერია ზაქი-ყლაპია და კამათი რომ არ გაგრძელებულიყო, რაღაც შიქასტა შემოსძახა...

სიმღერის გათავების შემდეგ მღვდელმა წამოიწია, ვითომ წასვლას აპირებდა, მაგრამ ღვინის სიყვარულმა დასძლია და... აღარც გაუშვეს. მამა ათანასესთვის უნდა ეთქმევინებინათ ის კვერექსი, რომელიც მან თურმე „ახალ-თაობის“ გამო შეადგინა...

რამდენადაც ჰკუა და გულ-მოკლე კაცი იყო მამა ათანასე, იმდენად ყულგ-ლოჟური თავმოყვარეობაცა ჰქონდა. თუ კი ოდესმე მის სიტყვა-მოქმედებას ხალხის ყურადღება მიუქცევია, თავის დღეში არ დაავიწყდებოდა ხოლმე და ყოველთვის საკვეხურადა ჰქონდა, თუმცა ხალხი-კი მამა ათანასეს მარტოოდენ ბედათა სთვლიდა.

—როგორ იყო? როგორ იყო? ჰა!.. გვიამბე მამა-შვილობასა!—დაესივნენ აქეთიქიდან მამა ათანასეს და საშველი აღარ მისცეს.

—როგორ იყო და...—სიცილითა და ენის მოკიდებით დაიწყო მღვდელმა:—მწირველი გახლდით—შეგეწიოთ ამისი მადლი—და ყველაფერი რიგზე შევასრულე. აკი ამ წირვას ახალ-თაობის ხალხიც არ დასწრებია?! შემომაცვინდნენ, ბატონო, ტრაპეზში და დამიწყეს ჩხუბი; ვიღაც ვიდაცები რათ მოიხსენიეო. გადმოვუღე ტიბიკონი და ვუთხარი, მაშ რა მექნა მეთქი?—თუ კიდევ მოგიხსენებია,—შავს დღეს დაგაყენებთო... მეც ადამიანი ვარ, შემეშინდა და დავპირდი, სისულელეს აღარ ჩავიდენ მეთქი. ნ-წ რვებს ნათლობაში მიმიწვიეს... შევხედე, ახალ-თაობის ხალხიც იქ არის... კვერექსები უნდა მეთქვა, მაგრამ, აბა, როგორ და ვიტყოდი?...

—მაშ, რა ჰქენი, მღვდელო! ხა, ხა, ხა! ხარხარებდნენ ყველანი, ვინც კი ეს ამბავი უკვე იცოდა.

—რა ვქენი და... მოვახსენე: ღმერთო, ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა მიანიჭე: ჩემ მაღალ სიკულასა, თანდილაანთ დიმიტრასა, ასის-თავებსა, ათის თავებსა, ცოციალებსა, ბუნტებსა, ძაღლებსა და მამაძაღლებსა მეთქი!..*)

—აი, ამოგაგდოს ღმერთმა!—დაიხვიხვინა ზაქი-ყლაპიამ. სხვებმაც ისეთი ხარხარი ასტეხეს, რომ გეგონებოდათ ცა გრგვინავსო. მარტო ჩუპრიას არ ეცინებოდა და მღვდელს კბილებს უკრაჭუნებდა:

—არა... რა ნება გქონდა, რომ ილანძღებოდი? შე... შე... სათოკე!.. შე ჩამოსახრჩობო!—აღარ ისვენებდა ჩუპრია.

—ჩამოსახრჩობი შენა ხარ, რომ მაგას მიბედავ... გაჩერდი, დიაკვანო, თორემ...

*) სიკულა და დიმიტრა—ასის-თავები იყვნენ. ი. ე.

შეუტია მღვდელმაც:

—რას მიზამ... მიშპიონებ ჰა, სხვა ხომ ვერაფერს მიზავ... აი, დედასა, სად არის ის დრო, როცა თავის სორო ხუთშაურად გიღირდა?! შე... შე...—შეუკურთხა ჩუპრიამ და მღვდელზე მიიწია.

ასტყდა ერთი ვაი-უშველებელი: რიგი მღვდელს იკავებდა, რიგი დიაკვანს. მაგიდიდან ჭურჭელი გადმოცვივდა, კამპანია დაიშალა.

როდის—როდის მღვდელი დააშოშმინეს, შესვეს თავის კუკნა ცხენზე და გაისტუმრეს.

გაჭირვეულებული დიაკვანი კი ბოსელში შეამწყვდიეს...

II

მამა ათანასეს სამრევლოს გზა ჯერ ხევ-ხევ მისდევდა, შემდეგ ტყით დაფენილ გორაკში იმალებოდა და კვლავ—ლამაზად გატკეცილი—სოფელ ღვიანეთისაკენ მიიკლაკნებოდა.

მშვენიერი გრილი საღამო იყო. ჩასასვლელად განმზადებული მზე დაჰყურებდა საციციანო მთას და შავი ნაძვნარი გაეოქროფერებინა. ხევში მშვიდად მოწანწკარებდა მთის ნაკადული და საღამოს სიო გახურებულ დედა-მიწას შუბლს უგრილებდა. რუს კიდეებზე ატეხილ ჭალებს რაღაც ჩურჩული შესდგომოდათ და მოცინარი ტყის ყვავილები ერთმანეთს სალამს აძლევდნენ. ხეებზე შემომსხდარი ფრინველები საყვარლად ჟრიამულობდნენ, ჭალაც ჟღურტულობდა, თითქოს სერზე გადმომდგარ მუხისა და წიფლის ვეებერთელა ხეებზე ლოცულობსო. დრო-გამოშვებით ჭალაში შემოიჭრებოდა ხოლმე „ჰოროველას“ გულსაკლავი ჰანგი და მაშინ წვრიმალა უფრო ხმაურობდა, უფრო ცოცხლდებოდა. მთელი მიდამო რაღაც საიდუმლო ხმებს გამოსცემდა და ამ ხმებს მალე ათანასეს ცხენის ფეხის ხმაც შეუერთდა.

მოკლე ნაბიჯითა და ხვნეშით მოპრაკუნებდა კუკნა ცხენი და რუმბივით გასივებულ ათანასეს ძლივს მოათრევდა.

გამაძღარ-ნაღვინევი მღვდელი მინდობოდა თავის „კუკნას“, სადავე მიეშვა და უნაგირზე სთვლემდა.

—აჩუ, აჩუ... შე ოხერო!—დრო-გამოშვებით დასძახებდა ხოლმე ცხენს და ისევ თვალებსა ხუჭავდა. ცხენის ჩაქ-ჩაქმა გააბრუა, დაარეტიანა მამა ათანასე და ხარბად შესმულმა ღვინომ თავისი ძალა გამოიჩინა.

—ჩემთანა არს ღმერთი... ვინ რას დამაკლებს? . ოხ, ჩუპრია დიაკვანო, მაცადე... მაცადე!..—ლუღლუღებდა ათანასე და თან გულში ილანძღებოდა.—ვინა? მე... შენ... დამაცა, ჩუპრია დიაკვანო, თუ შენ ბუდა-ნაბადი არ აგაკრეფინე და... ჰა... ხალხიო... რას მიქვიან ხალხი! მე მრწამს ღმერთი... ჩემი მაკურთხებელი და... და ბლაღოჩინი... არა.. წავიდეს დამეკარგოს... ბლაღოჩინიც ფინთი კაცია... მამაცხონებული, სულ ხელებში შემომყურებს, ასე ჰგონია მილიონები მქონდეს...

—აჩუ, შე სამგლე! მოულოდნელად დასჭყივლა ცხენს ათანასემ და ისევ ფიქრებში გაება... თვლემა დაიწყო.

მიპრაკუნობდა „კუკნა“, ხვრინავდა და ფშვინავდა მამა ათანასე, მხოლოდ ჭალა ისევ საამურად ხმაურობდა.

—ფრუ!—დაიფრუტუნა „კუკნამ“ ვიღაც მგზავრის დანახვაზე და გაჩერდა. საზოგადოდ, მღვდლისა და ურიის ცხენებმა ისე იციან... ასე ჰყავთ გაწვრთნილები. ათანასემ თვალები გააჭყიტა, გლეხმა ერთი კი შეჰხედა, მწარედ გაიღიმა და თავის გზას გაუდგა.

—შენ ეი... შვილო... ძმობილო... ამხანაგო, რატომ, შენდობას არამთხოვ? ჰა? გადიდგულდით? ღმერთი დაგავიწყდათ? მღვდელს პატივს აღარა სცემთ? ჰა!.. ეს სულ ჩუპრიას ბრალია... მაცადეთ... ჯერ ხომ ზურგზე ტყავი აგაძრეს...

—აჩუ, შე ვერანა!—გაუჯავრდა მღვდელი ცხენს და ღვირი ამოჰკრა.

ქლოშინით შეუდგა „კუკნა „ყვავის საყდრის“ აღმართს. ათანასე მაგრად მობღაუჭებოდა უნაგირის ტახტას და თოქმის ეძინა. კისრის მოდუნებული ძარღვები ვეღარ იმაგრებდა ათანასეს კეცის ოდენა თავს და ეს პატიოსანი თავიც კოდალასავით ირხეოდა: ხან წინ გადმოუვარდებოდა ხოლმე, ხან გვერდზე. რაც მაღლა და მაღლა მიდიოდა ცხენი, ათანასე მით უფრო ინჯღრეოდა და ცოტა გაწყდა არ გადმოვარდა კიდეც.

—აჩუ, შე ბაითალმანო!—კვლავ დაიგმინა ათანასემ და თვალები უაზროდ გააჭყიტა.

რის ვაი-ვაგლახით ამოათრია „კუკნამ“ მამა ათანასე აღმართზე, ცოტა ხანს შესდგა, შეიქაქანა და ახლა თავ-ქვე დაეშვა. მეტის მეტად ფრთხილობდა მხედარზე უფრო ჭკვიანი პირუტყვი, მაგრამ როდესაც მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ვეებერთელა წიფლისა და მუხის ხეები ჟამთა-ვითარებისაგან დანგრეულ საყდარს გარს შემორტყმიან და სადაც ამ ხეთა ფესვები ბადესავით მოსდებია წვიმის წყლისაგან ჩახრამულ გზასა, კუკნამ ძალზე წაიფორხილა, ფესვს ფეხი წამოჰკრა და წამოიჩოქა. ათანასემ თავი ვეღარ შეიკავა და გადმოვარდა. მიწაზე დაცემის დროს საფეთქელი დაჰკრა იქავ მდგომ მუხის ძირის კოჟიეს და...

ხმა, კრინტი აღარ დაუძრავს საცოდავ ათანასეს. მხოლოდ ერთს საშინლად გაიზმორა, დაიხვნეშა და პირქვე დაემხო...

კუკნა კი წამოდგა, ტანი შეიბერტყა, დასუნა თავის პატრონს და ყლორტების კვნეტით თავის გზას გაუდგა.

III

მეორე დღეს მზე დიდებულად ამოგორდა მთის იქიდან და დაბა-სოფლებს ჩვეულებრივად გადახედა. ოხ, ნეტავი ბუნებას, რომ ასეთი გულ-გრილია!

იერ ჩადენილი საქმეებს, რათა საზოგადოებამ ცხადათ დაინახოს იმ ვაჟბატონების ზნეობრივი ავლა-დიდება.

**ხცუმარი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივნისი

## რუსეთში.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოებამ გადასწყვიტა, ვინიცობაა, მუშებმა ქარხნის ადმინისტრაციაზე ძალადობა იხმარეს, დაუყონებლივ დახუროს ქარხნები, ანგარიში გაუსწორონ მუშებს და სხვა ქარხანა-ფაბრიკაშიაც აღარ მიიღონ.

სოფელ სმოლენსკაში, ჩაუმანოს ფაბრიკის ეზოში ყუმბარა გადა გდეს. მძიმედ დაიჭრა ერთი მუშა.

ნიკოლოოზის რკინის გზის სახელოსნოში ყუმბარის აფეთქების დროს ერთი მუშა დააპატიმრეს. ეს მუშა აღმოჩნდა სად. ობუხოვოს ერთ-ერთი თავდამსხმელთაგანი.

**მოსკოვი.** სოფ. ვსესვიატსკის ჩისტიაკოვისას აგარაკში ორი ყუმბარა აღმოაჩინეს.

**ირკუტსკი.** 18 ივნისს, სად. ნიჟნ უდინსკში იმ ვაგონში, რომელშიაც მეარტელე იჯდა, ყუმბარამ იფეთქა. მეარტელე მსუბუქად დაიჭრა. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ყუმბარა თვით მეარტელეს აეფეთქებინა, რომ ამით დაემალა 15,000 მანეთის გაფლანგვა. მეარტელე დააპატიმრეს.

**იუზოვკა.** სად. გრიშინოში უცნობებმა ექვსის ტყით მოჰკლეს ჟანდარმის ვახმისტრი.

**ლოძი.** ლონკოვოი ქუჩაზე უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი მუშა.

ლიპოვის ქუჩაზე ჩხუბის დროს დასჭრეს ერთი მუშა.

**მოსკოვი.** 15 ივნისს მოსკოვში გაიხსნება ყველა გუბერნიების და ოლქებისი რუს პატრიოტთა და მონარქისტთა პარტიების წარმომადგენელთა კრება.

**ჩერნიგოვი.** გლუხოვის მაზრაში ტყეში ოთხი მძარცვავი იჯდა და უეცრად მათ ყუმბარა გაუვარდათ, ერთი მოკვდა და მეორე დაიჭრა. ეს უკანასკნელი ამხანაგებს წაუყვანიათ. იმ ალაგას რევოლვერის 50 პატრონა იპოვნეს.

## უცხოეთში

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატთა სუპილომ ხორვატულ დეპუტატთა სახელით გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ კანონპროექტი რკინის გზებზე ენათა ხმარების შესახებ პირდაპირ დარღვევაა უნგრეთ-ხორვატიის შორის დადებულ ხელ-შეკრულებისა და ამიტომ ხორვატული დეპუტატები უნგრეთის პარლამენტში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. ამ საქმეს იმინი ხორვატის სეიმს მოახსენებენ. ამის შემდეგ ხორვატული დეპუტატები დარბაზიდან გავიდნენ.

**სოფია.** 20 ივნისს სასამართლომ დაასრულა განხილვა მინისტრ-პრეზიდენტის პეტკოვის მოკვლის საქმისა. საქმის განხილვას 14 დღე გასტანა. უკანასკნელ სიტყვაში მკვლელმა დანარჩენ ბრალდებულების გამართლება ითხოვა. სასამართლომ მკვლელს პეტროვს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. ხრანოვს, წამქეზებელს მუდმივი საპატიმრო და იკოლომოვს, წამქეზებელსავე ხუთი წლით საპატიმრო ციხის აწდით. გეროვი გაამართლეს.

**კალკუტა.** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი შემდეგს იუწყება: ამბოხებით მოდებული შენგალიის ოლქები დავარე და შემდეგი ფაქტი შევნიშნე: ინგლისის მეფის ედუარდის დაბადების დღე, გარდა ამერიკელ საზოგადოებისა, ადგილობრივ მკვიდრნი არც კი შეუმჩნევიათ. ნაციონალურ ორგ ნიზაცია ყოველგან აგიტაციას ეწევა. სურთ ხალხი ააჯანყონ და ინგლისის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადონ. პოლიციასა და ჯარს არ ძალუძს კანონის მომხრე ელემენტები დაიცვას დანარჩენთა შევიწროვებისაგან. მეტად საშიშ უხაროა ევროპიელებზე თავდასხმა, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო დროს იჩინა თავი. მარტო ასსამის რკინის გზაზე შენგალიაში ამ ბოლო დროს მატარებელს 15 ჯერ დაეცნენ.

**ლისაბონი.** გაზეთების, ცნობით აზორის კუნძულებზე ამბოხება დაიწყო. ამბოხებთა დასამშვიდებლად გაგზავნილმა ჯარმა უარი განაცხადა მცხოვრებთა წინააღმდეგ იარაღის ხმარებაზე. ახლა ფიქრობენ, ჯარი კონტედელ-გადადიან გაგზავნონ.

**გეიდელბერგი.** 22 ივნისს გარდაიცვალა 84 წლის ფილოსოფოსი, პროფესორი კუნო ფიშერი.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ, 427 ხმის უმეტესობით 123 ხმის წინააღმდეგ, მიიღო კანონ-პროექტი მთა მადნებში მუშაობის შემცირების შესახებ 8—10 საათამდე.

**რომი.** ფერრარის პროვინციის სოფლის მცხოვრებნი რამდენიმე დღეა გაფიცულნი არიან. გაფიცულნი პოლიციას თავს ესხმიან და ვინც არ თანაუგრძნობს, მტრულად უყურებენ. მეთაურები დააპატიმრეს. ვენეციის კომიტეტმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა, მაგრამ გაფიცვა ვერ მოხერხდა. გაფიცულები არიან მხოლოდ მებულკეები და მეთამბაქოები, მაღაზიები ღიაა, პური საკმაოა.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

---

სოფლელები მინდორ-ველად ამოშლილიყვნენ, მაგრამ უგულოდ კი მუშაობდნენ აწიოკებულნი, გამათრახებულნი, ერთმანეთს ერიდებოდნენ, — ალბად, ერთმანეთისა რცხვენოდათ!..

დაბა ურიათ-კარიც ყრუდ გმინავდა. დამსჯელთა უნებლიეთი მასპინძელი ცუდ გუნებაზე იყო. მცხოვრებლები ფეხ-აკრებით დადიოდნენ და ხმის ამოღებას ვერა ბედავდნენ. თამამად გამოიყურებოდა მხოლოდ დამსჯელთა უფროსი დავლიანიძე და იმისი ამალა. საომრად გამოწყობილი იგი კარგა ხანია გამოსულიყო თავის სახლის აივანზე და ისეთის თვალით გადაჰყურებდა აწიოკებულ ხეობას, გეგონებოდათ ნაპოლეონიაო.

უცბად, თქარა-თქურით მოიჭრა ერთი მხედარი და უფროსს მშვენივრად მოკაზმული ცხენი მოჰგვარა.

— ჩვენ მზათა ვართ, თქვენო კეთილშობილებავ!—სამხედრო სალამის მიცემით შესძახა მოსულმა.

— მეც მზათა ვარ!—მოკლედ უპასუხა უფროსმა, საჩქაროდ დაეშვა კიბეზე და ცხენს მოახტა...

ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ცხენების თქარა-თქური, მხედართა სიმღერა და იარაღის ჟღარუნი.

ასი ცხენოსანი დროშის ფრიალით სოფელ ღვიანეთისაკენ გაეშურა...

მოკვდა, ჩაითუთქა მთელი დაბა, მთელი ხეობა.

სოფელმა სოფელს მწარედ შეჰკვნესა...

—

საღამოს ექვს საათზე, კარგად მორთულ კაბინეტში, საწერ მაგიდას მოსჯდომოდა დავლიანიძე და ასეთ რაპორტსა სწერდა:

„მაქვს პატივი ვაუწყო თქვენ აღმატებულებას შემდეგი: წუხელის ს. ღვიანეთის წვრიმალაში რევოლიუციონერებს მოუკლავთ ამ სოფლის მღვდელი. გავიგე თუ არ ეს ამბავი, მაშინვე წავიყვანე ჩემი მხედრობა, გზაზე მდებარე სოფლებს შევყევ და გავჩხრიკე, გაუჩხრეკავად არც მგზავრები დამიტოვებია, თვით ღვიანეთელები ყველანი დავსაჯე და ათას ხუთასი მანეთი ჯარიმა იმავე დღესვე გამოვართვი. აქედან ათი თუმანი მივეცი მღვდლის ქვრივს, რადგანაც, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, მღვდელი ჩვენი ერთგული ყოფილა (წარმოიდგინეთ საჯაროდ მასხარად აუგდია რევოლიუციონერები, მაგრამ ამას პირადად მოვახსენებ თქვენ აღმატებულებას, ძალიან საცინელი ამბავია)—მღვდლის ქვრივი ხელ აპყრობით ლოცავს თქვენ აღმატებულებას. თქვენო აღმატებულებავ, ვწუხარ, რომ კვლავ გაწუხებთ ამ გვარის რაპორტით, მაგრამ რაკი მღვდლის მკვლელები აღმოვაჩინე, იმედია მაპატიებთ. მღვდელი მოუკლავთ: მისსავე დიაკვანს, ჩუპრიად წოდებულს, და მის კომპანიას, სახელ განთქმულ რევოლიუციონერებს. მღვდელი და მისი მკვლელები, როგორც გადმომცა ჩვენმა ერთგულმა კაცმა, წინა ღით ზაქი-ყლაპიას დუქანში თურმე ქეიფობდნენ. ჩუპრია და მისი ამხანაგები, ყოვლად საშიში რევოლიუციონერები, უკვე დავაპატიმრე, მიკიტანი ოცი თუმნით დავაჯარიმე და სამხედრო წესების მოხსნამდე დუქანი დავუბეჭდე, ხოლო მთელ ხეობას გამოვუცხადე, რომ თუ არ დაჰკვიანდებით, ქვას ქვაზე აღარ გავუშვებ და სუყველას დავხრეტავთ მეთქი. მეტის მეტი კერპი ხალხი-კია, უნდა მოგახსენოთ.

„გაუწყებთ რა ყველა ამას, დაუყოვნებლივ ველი თქვენის აღმატებულების ჩვენებასა და რჩევას შემდეგისათვის. თქვენი აღმატებულების ერთგული მონა-მოსამსახურე, დავლიანიძე."

გაათავა რაპორტის წერა, გადაიკითხა, ულვაშებში ჩაიცინა და ხელების ფშვნეტით ჩაიბუტბუტა:

— ერთი ასეთი ექსპედიციაც და... ჯილდოც მზად იქნება!...

**ია ეკალაძე.**


# განცხადებანი

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^{1}/_{2}$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—19)

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

**ლ. შტრეიხერისა**

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

| | | |
|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. | |
| „ „ მეტალიური | 1 „ | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ემალისა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ | |
| „ „ კრამპონისა | 1 „ | 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | |
| „ „ თითო კავი | 1 „ | |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ | |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | |

(100—ბუხ.—7)

ნადირობა-ჯანმრთელობა.




იარაღი ა. ბიტკოვთან სხვა და სხვა იარაღი, პრეისკურანტი მუქთად. ფასები ზომიერია.

რევოლვერი თავისდაცვისათვის.

იარაღი მიღებულია

(მეც. 4—2)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—38)

ამ ცოტა ხანში გამოვა გასასყიდად ახალი წიგნი

## . საბუელისა

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.

(3—უ.—3)

ამა 1907 წ. თიბათვის 20-დან

## ქ. სიღნაღში

**იხსნება პირველი წიგნის მაღაზია**

„ცოდნის წყარო"

სადაც შეიძლება საზოგადოებამ იშოვოს ყოველგვარ **წიგნს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე** და აგრეთვე **სასწავლო და საკანცელარიო ნივთებს.**

ვთხოვ აგრეთვე **ავტორებსა და გამომცემლებს** გამოგვიგზავნონ **საკომისიოთ** თავიანთი **თხზულება-გამოცემანი. ანგარიშს ვასწორებთ ყოველ სამ თვეში ერთხელ.**

ვკისრულობთ აგრეთვე **აგენტობას** და **რედაქციებს შეუძლიანთ მოგვმართონ თავიანთი პირობებით.**

გამგე მაღაზიისა ივანე დიმიტრის ძე შავლიაშვილი

ადრესი: г. Сигнахъ, Книж. магазинъ „Цоднисъ цкаро" Ивану Димитріевичу г-ну Шавліашвили. (5—უ.—5)

## ნამდვილი კახური ღვინო

სასადილო




საკუთარი ვენახებიდან

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომნი. (100—70)

## გაფრთხილება

**სავაჭრო სახლის**

## ნ. ი. ბოზარჯიანცის და შვ.

თამბაქოს ქარხნისაგან (არსებობს 1858 წლ. ტფილისში)

რადგან დღემდე კიდევ სარგებლობენ ჩვენის პაპიროსების **„სიმპატია"** 10 ცალი 5 კაპ. და № 8—10 ც. 5 კაპ., აგრეთვე № 7/16—10 ც. 3 კ. სახელით და ჰყიდიან ყალბ პაპიროსებს, უმორჩილესად ვთხოვთ თამბაქოს მომწევთ, ყურადღება მიაქციონ ჩვენ საქარხნო მარკას

და ვგარს **ნ. ი. ბოზარჯიანც და შვ.**

ყალბ პაპიროზის დამზადებელთა წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ.

(10—130—9)



## ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ

ნაღდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

## სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი"

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—36)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.